თბილისის “დინამო” გაემგზავრება საფრანგეთში

თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები ამჟამად იმყოფებიან ბელგიაში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ამ ქვეყნის უძლიერეს გუნდებთან.

ბელგიაში ტურნეს დამთავრების შემდეგ თბილისის დინამოელები გაემგზავრებიან საფრანგეთში, სადაც გამართავენ მატჩებს უძლიერეს გუნდებთან. “დინამოს” წინააღმდეგ ითამაშებენ “რესინგი”, “ლიმოჟი”, რეიმსი” და “სტად ფრანსე”. ამ გუნდებიდან “რესინგი” შარშან იყო თბილისში და “დინამოსთან” ფრედ დაამთავრა მატჩი – 2:2, ხოლო “რეიმსმა” წელს წააგო დინამოელებთან ანგარიშით – 2:5.

პირველი მატჩი ბელგიაში, როგორც ცნობილია, თბილისის “დინამოს” ჰქონდა ქ. გენტში, ადგილობრივ “განტუაზთან”, რომელიც წლევანდელ ზაფხულს დაამარცხა თავის მინდორზე ანგარიშით 2:1. მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა თბილისელთა უპირატესობით და დამთავრდა მათ სასარგებლოდ – 3:0. შესვენების შემდეგ “დინამოს” თამაში გაუარესდა და “განტუაზმა” გაქვითა სამივე გოლი – 3:3.

თბილისის “დინამოს” საფრანგეთში მომავალ მგზავრობასთან დაკავშირებით საინტერესოა განვიხილოთ იმ გუნდების მდგომარეობა ეროვნულ ჩემპიონატში, რომლებთანაც თბილისელებს მოუწევთ შეხვედრები.

XV ტურის შემდეგ ჩემპიონატს ლიდერობდა “რეიმსი”, რომელსაც 25 ქულა ჰქონდა. მესამე ადგილზე იმყოფებოდა “ლიმოჟი” – 20 ქულა, მეოთხე ადგილზე – “რესინგი” – 18 ქულა და მეშვიდეზე – “სტად ფრანსე” – 16 ქულა.

ამრიგად თბილისის “დინამოს” ყველა მოწინააღმდეგე უძლიერესთა შორის იმყოფება.

15 ნოემბერი, 1959 წ.